სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

19 ივნისი 2026

GOV N 815/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის გადაცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ჩამორთმეული მერქნული რესურსის IV ხარისხის სოჭის ჯიშის მრგვალი ხეტყის (მორის)–სულ- 15,32 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N175) გამოცხადების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 249-ე მუხლის 2^2 ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29^1 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 16 მარტის დასკვნის N001228326, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხეტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2026 წლის 19 ივნისის N9911 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N175 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ჩამორთმეული და სააგენტოსათვის გადმოცემული, ამბროლაური, სადმელის საქმიანი ეზო N007-000-000006 საქმიან ეზოში-ში დასაწყობებული 15,32 მ3 წიწვოვანი სახეობის (სოჭი) IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხეტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი. N-34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბესიკ ამირანაშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო